



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 03

2020 წლის 28 თებერვალი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 ივლისის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 ივლისის №33 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 31/07/2018 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.133.016268) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი და მისი ოდენობა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს 1 ლარი.“.

ბ) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დანართი 1“-ის პრემულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ - საქართველოს კანონების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.“.

გ) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დანართი 1“-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს ახლად აშენებული ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით.“.

დ) დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დანართი 1“-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსაკრებელი გამოიანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის (კვადრატულ მეტრებში) გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის



ნადიმ ვარშანიძე